შპს "მაგთიკომი"
№ ED-25/10/10-004
10-10-2025 წ.

MAGTICOM

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ კახი ბექაურს

წევრებს: ბატონ ვახტანგ აბაშიძეს,
ბატონ ივანე მახარაძეს,
ქალბატონ ნათია კუკულაძეს,
ქალბატონ ეკატერინე იმედაძეს,

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის (შემდგომში - კომისია) 04.09.2025 #გ-25-23/455 გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, წარმოგიდგენთ შპს „მაგთიკომის“ (შემდგომში - მაგთიკომი) პოზიციას/კომენტარებს „მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიანი (თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების პროექტთან“ (შემდგომში - პროექტი) დაკავშირებით.

პროექტი ითვალისწინებს საწყისი საფასურის ფასდაკლებას დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ. წინამდებარე წერილით შეგახსენებთ, რომ „მაგთიკომის“ კონკრეტული მოთხოვნის მიუხედავად (იხ. „მაგთიკომის“ 05.09.2024 #ED-24/09/05-001 წერილი) **<u>2024 წლის აუქციონში ასეთი ფასდაკლება გათვალისწინებული არ ყოფილა.</u>** ჩვენს მაშინდელ მოთხოვნაზე პასუხად მივიღეთ, რომ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა კომისიის დისკრეციას.

კომისიისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ მის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ან არ გამოყენება, ყოველ ჯერზე მოითხოვს შესაბამის დასაბუთებას, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს თანასწორი მოპყრობის, მიუკერძოებლობის და გამჭირვალობის პრინციპებს. ამ პრინციპების იგნორირებით, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება არის უთანასწორო პირობების შექმნის საფუძველი და ამავდროულად წარმოადგენს დისკრიმინაციას (დისკრეციის შერჩევითად გამოყენება ნიშნავს დისკრიმინაციას).

წარმოგიდგენთ კომისიის ქმედებებს მხოლოდ ბოლო პერიოდის სიხშრული სპექტრის ლიცენზიის გასაცემად ჩატარებულ აუქციონებში:

- შპს "მაგთიკომის" მოთხოვნით 2024 წელს გამოცხადებულ აუქციონში 700მგჰ და 3500მგჰ სიხშირის საწყისი საფასური 7.7-ჯერ და 7.1-ჯერ გაიზარდა 2023 წელს ჩატარებულ აუქციონთან შედარებით; 800მგჰ და 2600 მგჰ კი 3.6-ჯერ და 13.6-ჯერ შესაბამისად;

შპს „მაგთიკომი“ / Magticom LLC; საიდენტიფიკაციო კოდი / Identification Number 204876606
პოლიტკოვსკაიას ქ. N7, თბილისი 0186, საქართველო / 7 Politkovskaya St., Tbilisi 0186, Georgia
ტელ / Tel: (+995 32) 217 17 17; (+995 32) 217 17 77; ელ.ფოსტა / E-mail: office@magticom.ge
www.magticom.ge

Შ-25-6/4280
10.10.25
2+1ფ

- შპს "მაგთიკომის" მოთხოვნით 2024 წელს გამოცხადებულ აუქციონში არ იყო გათვალისწინებული ფასდაკლება დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ (მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა), განსხვავებით 2023 წელს ჩატარებულ აუქციონისა (2023 წლის აუქციონში კომისიისათვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ შპს "მაგთიკომი" არ მიიღებდა მასში მონაწილეობას);
- 2025 წლის მიმდინარე წარმოების ფარგლებში, კომისიამ კვლავ დაადგინა ფასდაკლება დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ (აქაც, კომისიისათვის წინასწარ არის ცნობილი, რომ შპს "მაგთიკომი" არ მიიღებს მონაწილეობას აუქციონში).

წინამდებარე წერილით ჩვენ არ ვითხოვთ აუქციონის პირობებში საფასურის ფასდაკლების პირობის გაუქმებას. პირიქით, მივესალმებით ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც გაზრდის ლიცენზიების საფასო მიმზიდველობას და შესაბამისად, მისცემს ოპერატორებს საშუალებას, მეტი ფულადი საშუალებები მიმართონ ქსელურ ინფრასტრუქტურაში.

მაგთიკომი ეწინააღმდეგება კომისიის დისკრეციული უფლებამოსილების შერჩევით (დისკრიმინაციულ) გამოყენებას, რომლის შედეგად:
- ირღვევა სამართლებრივი და ბიზნეს პროგნოზირებადობა;
- იზღუდება ავტორიზებული პირების შეჯიბრებითობა;
- ზიანი ადგება ქვეყნის საინვესტიციო გარემო;
- ირღვევა სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპი.

შესაბამისად, კომისიას ვთხოვთ, დეტალურად განგვიმარტოს, მის მიერ 2024 წლის აუქციონისგან განსხვავებით, ამჯერად რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს ის, როდესაც პროექტით დაფარვის დამატებითი ვალდებულების სანაცვლოდ კვლავ განსაზღვრულია საწყისი საფასურის ფასდაკლება.

პატივისცემით,

გიორგი გაგნიძე
გენერალური დირექტორი

დოკუმენტის ნომერი: **251010001**

Digitally signed by MagtiCom LLC
2025.10.10 17:13:03 +0400
მაგთიკომი MAGTICOM